

"არასამთავრობოები ძირითადად ნაციონალების მიერა არიან შექმნილი"



დედაქადაქის მერმა ვახა ვადაძე უზრუნველყოფით სანაწარმო განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არიან შექმნილი, მათი ხელდასმულები არიან და დღეს ან ხიბრში არიან ან ვაღში.

„ყოფიერ პროკურორს უნდა ახსოვდეს, რომ თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ ადამიანს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, რომ გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ კანდიდატზე. ეს ადამიანები არიან წარსულში ჩარჩენილები, ცდილობენ, დღეს უკვე იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებიან, გარკვეულწილად მოახდინონ ბენოლა საზოგადოებაზე და შეუზღუდონ თავისუფლების გამოხატვის შესაძლებლობა. ჩვენ საზოგადოებამ უნდა მოვახდინოთ კონსოლიდაცია და ჩავტოვოთ იქ, სადაც არიან, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა მივახდინოთ ერის გაერთიანება, ჩვენ არ გვჭირდება დაყოფილი საზოგადოება“, – განაცხადა ვახა ვადაძემ.

არასამთავრობო სექტორი პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემაც გააკრიტიკა და თქვა, რომ ზოგიერთი პოლიტიზირებული პერსონის გამო არასამთავრობო სექტორის იდეა ბიანდება. მან ასევე “რუსთავი 2”-ის გენერალურ დირექტორის ნიკა გვარამიას Facebook-პოსტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას განცხადება ხელმოცარული ფაშისტის განცხადებაა.

შეგახსენებთ, რომ Facebook–პოსტში ნიკა გვარამიამ დაწერა, რომ ყველა ვინც ბურაბიშვილს უჭერს მხარს და მის საარჩევნო კამპანიას აფინანსებს, საზოგადოებამ უნდა დაიმახსოვროს, რომ ისინი “მოღალატის გვერდში მდგომი ხადხია”. ხოლო არასამთავრობოები ირაკლი კობახიძის კრიტიკას მესამე სექტორის დისკრედიტაციის მცდელობად აფასებენ.